ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი 30 აგვისტო 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (კაუჩუკის ფილები) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ.ა" და ,,ე.ე" ქვეპუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ------აგვისტოს №---------- მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირის ,,ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის"(საიდენტიფიკაციო ნომერი: 412677269) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კაუჩუკის ფილების (200 კვ.მ) გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. არასარასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" მიერ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზებისათვის.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა, უზრუნველყოს მოძრავი ქონების თხოვების ფორმით გადაცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი